საქართველოს მთავრობის

დადგენილება №392

2017 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, №103, 24/08/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1.48-ე მუხლის 5^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5^1. სააგენტოს მიერ დამზადებული მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის საწყისი საორიენტაციო ფასი (დღგ-ის ჩათვლით) ყოველწლიურად დგინდება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.“.

2. 59-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენეების მოწყობის წესი მტკიცდება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

3. 60^1 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენეების მოწყობა (მერქნიანი მცენარეების მოჭრის გარეშე, დროებითი შენობის ან/და ნაგებობის განთავსების უფლებით): სახელმწიფო ტყის ფონდის (გარდა დაცული ტერიტორიებისა) ჭალის ტყეებში, მდინარეების, წყლის არხების (გარდა სასმელი წყლის არხებისა) გასწვრივ ნაპირიდან 300 მეტრამდე სიგანის ტყის უბნებში, დაცვითი ტყის ზოლებში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**